ახალი წელი. ჯერ ფეხი არ შემომიდგამს და ამდენი ტვირთი კი ამკიდეს.

წარჩინებული უცხოელი.



დეკემბრის 31-ს ქ. ბაქოდან საგარეო საქმეთა სამინისტროში შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა:

— გატყობინებთ, რომ ღამის თორმეტ საათზე, თფილისში ჩამოვა წარჩინებული უცხოელი. მიაი მოგზაურობის მიზანი საიდუმლოებით არის მოცული. სასურველია, რომ ჩვენი მთავრობა ღირსეულათ დაუხვდეს მას. ადგილობრივ დიპლომატიურ წრეებში დაჟინებით ამბობენ, რომ ამ უცხო სტუმრის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ გაგზავნა თფილისის სადგურზე მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე და ბ ნი მელიქიშვილი საპატიო უცხოელის შესახვედრათ. შეხვედრამ ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა როგორც სტუმარზე, აგრეთვე მასპინძლებზე.



უცხოელის ჩამოსვლა საიდუმლოთ მოხდა, მაგრამ ქალაქს ჭლვის სისწრაფით მოედო ეს ცნობა და გზაში, სადგურიდან ვიდრე სასტუმრო „ორიანტამდე" ქუჩები აღტაცებული ხალხით დაიფარა. ოვაციებსა და ვაშას ძ ხილს ბოლო არ უჩანდა.

უპირველეს ყოვლისა უცხო სტუმარმა მთავრობის თავმჯდომარე ინახულა. ნოე ნიკოლოზის ძემ მამა პაპურ ბუხართან მიიწვია სტუმარი და მეგობრულმა საუბარმა 47 ნახევარ წუთს გასტანა, რის შემდეგაც უცხოელი დამფუძნებელ კრების სხდომაზე მიიპატიჟა მასპინძელმა.



„დამფუძნებელი კრება" ამ დროს ფრიად საყურადღებო საგანს არკვევდა. საკითხი შეეხებოდა ზამთარში შეშის საჭიროებას. ამ დებულებას თავისებურის მჭერმეტყველობით ებრძოდა სოციალ-ტრევოლიუციონერთა ლიდერი ივანე გობეჩია; პატივცემული სტუმარი ორატორის სიტყვამ მხიარულ გუნებაზე დააყენა და ბევრი აცინა.



ბ. ქალაქის თავს წინდაწინვე განზრახული ჰქონდა ჩვეულებისამებრ პურ-მარილით შეგებებოდა

იშვიათ სტუმარს, მაგრამ ვინაიდან სახელდახელოთ ქალაქში არც პური აღმოჩნდა და არც მარილი, მხოლოდ მარილიანი სიტყვით გაუმასპინძლდა წარჩნებულ უცხოელს და სთხოვა მას, კეთილ ინებეთ და დაათვალიერებია ჩვენი დედა ქალაქის ღირს შესანიშნავი დაწესებულებანი და ადგილები.



უპირველეს ყოვლისა უცხოელმა ინახულა ქალაქის მუზეუმი სასახლის პირდაპირ. ქალაქის მოურავმა განუმარტა სტუმარს, რომ ამ შენობას მეოთხე ადგილი უჭირავს მსოფლიო საკვირველებათა შორის შემდგომად ბაბილონის გოდოლისა, ეგვიპტეს პირამიდებისა და ეიფელის კოშკისა და საერთაშორისო ზავის ჩამოგდებას უფრო ადრე უნდა მოველოდეთ, ვიდრე ამ მუზეუმის დამთავრებას.



შემდეგ დათვალიერებულ იქმნა ვერის ხიდი. სტუმარი დაინტერესა იმ გარემოებამ, რომ ამ ხიდს ყველანი გარს უვლიან და ზედ არავინ გადის, მაგრამ როდესაც ჩვენმა მოურავმა აუხსნა, რომ ეს ის ხიდია, რომელიც აწერილი აქვს კრილოვს ერთ-ერთ არაკში და რომელიც ცრუ კაცს ვერ იმაგრებს და ტყდება, უცხოელმა თითონაც აღარ მოისურვა ზედ გავლა და ქალაქის თავთან ერთად ტრამვაის დასათვალიერებლად გაემგზავრა.



უცხოელი მეტად გააკვირვა ჩვენი ტრამვაის მშვენიერ ა მდგომარეობამ. მან განაცხადა, რომ აზიის მრავალი უდაბური ადგილები გამოიარა და არსად ამ ტიპის ვაგონები არ უნახავს და ქალაქის გამგეობას მისი გეგმა სთხოვა.



ქალაქის წყალსადენის ნახვამ უცხოელი აღტაცებაში მოიყვანა და კითხვა-კითხვაზე მიაყარა ქალაქის ინჟინერს.

— რათ არის ღია ეს მილი ქუჩაში?—ჰკითხა სტუმარმა.

— ეკონომიის მიზნით, ბატონო! როდესაც მილი ქუჩაში ღიაა, ბინებში წყალი ვეღარ ადის და მდგმურები ვეღარ ხარჯავენ...

— კარგი, მაგრამ, რატომ ასე მცირე ნაკადი მოდის მილში?

— აქაც ღრმა და მნიშვნელოვანი მოსაზრება გახლავთ: ჩვენ გვეშინია, მტკვარი არ დაგვიშრეს და ყარაიაზის მამულები მოურწყავად არ დაგვირჩეს.

შემდეგ უცხოელს უჩვენეს ერთად-ერთი ელექტრონის სანათური, რომელიც ქალაქის გამგეობას დიდის სიფრთხილით შენახული აქვს ცალკე ყუთში.



როდესაც ქალაქის მოურავმა წარჩინებულ უცხოელს დაათვალიერებინა ჩვენი ორი შესანიშნავი თაღბაქოს ქარხანა „მირისა“ და ენფიანჯიანკისა, საღამოელ—აშლილმა სტუმარმა დაუყოვ ებლივ დასდო ეკონომიური ხელშეკრულება ჩვენ რესპუბლიკასთან.



— ეს, თქვენო აღმატებულებავ, ტელეფონზე მოუშავე ქალი გახლავთ... საბრალო, ყრუ არის, რადგან ჩაირიცხებიან თუ არა ამ სამსახურში, ყველანი დაუყოვნებლივ ყრუდებიან.

შემდეგ სტუმარმა გოვირდის აბანო ინახულა. მექისის დახელოვნებულმა მასაჟმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელზე და განზრახულ ბანაობაზე უარი ათქმევინა.



მოსწავლე ახალგაზრდობის ნახვამ და მათი სახის გამომეტყველებამ უცხოელს თვალ-წინ დაუხატა დიდებული მომავალი საქართველოს რესპუბლიკისა.

რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა დათვალიერებამ ძვირფას სტუმარს ამ ძალებთან დაუყონებლივ ბრძოლის წყურვილი გაუღვიძა.



როდესაც უცხოელმა ქალაქის განაპირა ადგილებზე ხელოვნურად გაშენებული ბაღები დაათვალიერა, საოცარი რამ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ მას აკაკის სახელიც კი არასოდეს არ გაეგონა, აღტაცებით წარმოსთქვა:

— ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!



რესპუბლიკის ფულების საბეჭდავი მანქანა რომ იხილა, უცხოელმა გულწრფილად წამოიძახა:

— ეხლა კი მრწამს, რომ საქართველოს ფინანსიური მომავალი მკვიდრ ნიადაგზე არის დამყარებული!



შემდეგ წარჩინებული სტუმარი ჩვენი ახალგაზრდა სენატის სხდომას დაესწრო.



ჩვენმა ნიჭიერმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ დაატკბო უცხო სტუმარი თავისი 25 წლის ნამუშევარის დათვალიერებით.



ამის შემდეგ უცხოელი სრულად საქართველოს კათალიკოსთან გაემგზავრა, მიიღო წმინდა მამის ლოცვა-კურთხევა და მოახსენა:

— ძლიერ მოხარული ვარ, თქვენო უწმინდესობავ! ქართველი ხალხი იმდენათ მორწმუნე ყოფილა, რომ თავისი საკუთარი კათალიკოსიც კი ჰყოლია.



უცხო სტუმრის სახელმწიფო თეატრში შესვლისთანავე ორკესტრმა და ხორომ კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულა ჩვენი ეროკნული ჰიმნი.



თეატრის კომისარმა ალ. წუწუნავამ აღფრთოვანებულ სიტყვით მიმართა სახელოვან სტუმარს და სხვათა შორის სთქვა:

— მე მოხარული ვარ რომელიც რომ თქვენ მობძანდით და აღტაცებით ვეგებებით თქვენს მობრძანებას, რომელიც რომ თქვენ აქ ჩამობრძანდით ჩვენს მთავრობასთან ერთად!

წარმოდგენის შემდეგ საპატიო სტუმარს გარეშე საქართა სამინისტრომ „ორიანტში“ ბანკეტი გაუმართა.

შეზარხოშებულმა სტუმარმა ბანკეტის შემდეგ მოისურვა გორგიჯანოვის „ტრიატრ ტივოლიში“ წარბრძანება თვალისთვის წყალის დასალევინებლად.



ინკინდენტში ჩაერია ჩვენი ფრთხილი და თავზიანი ილიკია.

გორგიჯანოვის თეატრში უცხო სტუმარს ფათერაკი შეემთხვა. სრულიად უნებლიედ მან თეატრის ქალწულთაგანს სტოლ-ქვეშ ფეხზე ფეხი დაადგა. ამის გამო მოხდა რომანიულ ნიადაგზე შეტაკება.

უცხოელი მეათე უბნის კომისარიატში მიიყვანეს და ოქმი შეუდგინეს.

— თქვენი სახელი და გვარი?—შეეკითხა უცხოელს კომისარმა.

— 1920 წელი გახლავარ, უპასუხა მან

გაფიცვა.

„ისე ვენდობი პრისტავსა,
როგოც საკუთარ თვის თავსა.“

ს. ზურგიელიძე.

იმდენათ გაჭირდა მდგომარეობა, რომ საახალწლო წერილისათვის დიდი მგოსნის აჩრდილი გამოვიწვიე, მისი სახელი შევაწუხე.

მაგრამ ჩემი მდგომარეობისთვის სხვა, ამაზე მეტად შესაფერი წინა'იტყვა ყოვლად მოუხერხებელია არა თუ გამოსძებნოს, არამედ წარმოდგენითაც წარმოიდგინოს ადამიანის ოცნებამ.

პირველ ყოვლისა მცირეოდენი ფაქტიური განმარტება მგოსნის სიტყვებისა.

„თვის თავი“ ნამდვილის მისის მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ეს არ ნიშნავს თვის დასასრულს, ე. ი. იმ დროს, როდესაც მოხელე ჯამაგირს უნდა იღებდეს, არამედ ნიშნავს „თავის თავს“.

როცა ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ჩვენთვის თითქოს გაუგებარი გამოდის მგოსნის თქმათა აზრი. როგორ? სოლომონი ისე ენდობა პრისტავს, როგორც თავის თავს?

ეს შეუძლებელიაო! შესძახებს ყველა, ვინც პატივსა სცემს მგოსნის სახელს. მე კი ამას არ ვიტყვი, ვინაიდან „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“ და მე მხოლოდ წუხელ გავიგე დიდებული მგოსნის ღრმა თქმულებათა მნიშვნელობა.

მე ჩემს თავს გაცილებით უფრო ვენდობოდი ვიდრე საუკეთესო პრისტავს, დარწმუნებული ვიყავ, ის არასოდეს არ მიღალატებდა, ჩემს ნება სურვილს თავისთვის კანონათ ჩაითვლიდა და მის აღსრულებაზე არასოდეს უარს არ იტყოდა. დიახ, მე ამაში მუდამ ღრმათ ვიყავ დარწმუნებული.

ახალი წელი კარზე მოგვადგა. ამ ახალი სტილის შემოღებამ მაინც უფრო მოგვიახლოვა ტანჯვის დღე. მანასემ ულტიმატუმი დამისვა:—ორშაბათს მთელი მასალა, სამშაბათს გვერდების შეკვრა*)—წინაღმდეგ შემთხვევაში არ მოესწრობაო.

მე არხეინად მოვისმინე ულტიმატუმი, ვინაიდან „თვის თავის“ იმედი გაცილებით მეტი მქონდა, ვიდრე პრისტავის.

— მილოცვები, პატარა ფელეტონები, გამოცანები, დეპეშები, ლექსები, იგავ-არაკები... რომელი ერთი მოვთვალო, მოვსდგები ამღამ და სამოც ფურცვლ ქაღალდს გადავაჭრელებ... უმჯობესია მოკლე-მოკლე და კარგ-კარგი მასალა.

ასე ვფიქრობდი მე გუშინ წინ საღამოს, როცა ძველი წლისაგან სამიოდ მზის ამოსვლა იყო დარჩენილი.

ყველაფერი უკვე მზათ მქონდა: ბუხარში ცეცხლი გუგუნებდა, თავწათლილი კარანდაშები შუბებივით მეწყო ჩემ საწერ მაგიდაზე, მოგრძო ქაღალდის ზოლები დასტა-დასტათ ელაგა იქავე და სამი ლამპა ელექტრონისა საერთო ძალით აფოქვევდა სხივს ჩემს ოთახს.

— აბა დავიწყოთ, მეგობარო!

მოკრძალებით და ალერსით ვსთხოვე მე ჩემს თავს, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ უფრო ვენდობდი, ვიდრე პრისტავს.

არავითარი პასუხი.

— მე მგონია მილოცვებით აჯობებს დაწყება. თუმცა, სიმართლე გითხრა, თავი მოგვაბეზრა ამ მილოცვებმა... მე საზოგადოთ წინააღმდეგი ვარ მაგრამ რას იზამ ჩვეულება ასეთია...

სრული დუმილი, სრული უყურადღებობა!

— რას შვრები კაცო? ვეკითხები მე ჩემს თავს, რას მიპირობ? ხომ გახსოვს, რა გვითხრა მანასემ? თუ მილოცვები არ გინდა, სხვა რამე გვითხარი, აი თუნდ გამოცანა?

სამარის სიჩუმე და მყუდროება იყო პასუხი ჩემი მუდარისა.

— ბიჭო, რა დაგემართა, შე ოხერო? გაგიგონია ასეთ დროს დამუნჯება? აი, მოდი ერთი შარადა მაინც დავსწეროთ. ეს ხომ ადვილი საქმეა, შეჩვეული ჭირია. მაკვირვებს ღმერთმანი შენი საქმე. რა დაგემართა, კაცო, რა ნახე, რა ღმერთი გაგიწყრა?

ის კი, ის პატივცემული ჩემი თავი, თითქოს არც ესმის ხაზეინის სიტყვებიო, სდუმდა, როგორც მარმარილოს ქანდაკება.

— ამხანაგო, გამაგებინე |მაინც რას მიპირობ. მითხარი რასა მთხოვ, რათ ჩაგიკმენდია ხმა, რით გაწყენინე, რით შეიძლება შენი გულის მოგება. ხომ იცი, ჩემო ძვირფასო, თუ დღეს ხუთი კალონის მაინც რამე არ დავსწერეთ ხვალ მანასეს ვერ ვეჩვენებით. ბიჭო, შე თათარო, ერთი პატარა ფელეტონი, თუ გინდა აი ამ ახალი წლის მარხვაში გადმოტანის შესახებ მაინც დასწერე! სად გაგონილა კალანდა მარხვაში, ან შობა კალანდის შემდეგ? დაიწყე თუ ძმა ხარ...

ერთი სიტყვა წამლად მაინც ამოხდინოდა ამ გაჯიუტებულსა და გარინდებულ ვაჟბატონს! ნათლად შევატყვე რომ ის გაფიცული იყო. აქ იქვე მიუტევებელი იქნებოდა, მაგრამ მე მაინც იმედს არ ვკარგავდი.

— ნუ თუ ასეთ გასაჭირის დროს მიღალატებს ეგ ოხერი? ვფიქრობდი მე—მართალია გაფიცვა მხოლოდ მაშინ იციან, როცა გასაჭირს ხედავენ ბატონებისას, მაგრამ ჩემი თავი, ჩემთან ერთად შეზრდილი ჭირსა და ლხინში განუყრელი, მუდამ განუშორებელი და ასეთი სისათუთით განებივრებული რო-

*) ლაპარაკი ჟურნალის გვერდებს ეხება.

გორ მიღალატებს და გაჭივრების დროს როგორ გამეფიცება?

— ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო! მითხარი მაინც რაზეხარ გაბუტული. კაცო, თუ ამასაც არ იტყვი, მაშ რა ჯანაბა გიყო? რისთვის გინდა, ძმაო, ეს ახალი წელიწადი წამამწარო?

ის ყურსაც არ ანძრევს, თითქო ჩინურად ველაპარაკებოდე. არა, ჭეშმარიტად გაფიცულია. ეს მას არასოდეს არ უქნია. პირიქით, გასაჭირის დროს ყოველთვის თითონ იძლეოდა ინიციატივას; მე მისი დამშვიდება მჭირდებოდა. ახლა კი სდუმს, როგორც ეგვიპტის მუმია, როგორც საფლავის ქვა.

— მაშ გაფიცული ხარ, არა? გაიფიცე ხომ? „დუმილი თანხმობის ნიშანიაო“ ამბობს რუსული ანდაზა. კარგი, ვსთქვათ გაიფიცე, შე კაი კაცო, მაგრამ არ უნდა მითხრა რისთვის გაიფიცე? ბიჭო, მოთხოვნილებას თუ არ იტყვი, როგორ უნდა აგისრულო? სად გაგიგონია შენ გაფიცვას თან მოთხოვნილებათა სია არ ახლდეს? „მეფე გულში მღეროდა, ყმებო ბანი მითხარითო“, სთქვი მაინც რა გინდა, მწვადი გინდა?

ჩემ თავს თითქო ჩაეცინაო. მაგრამ ეს სიცილს იმდენათ ჰგავდა, რამდენათაც მისი დღევანდელი საქციელი აღრინდელს.

— ეს არ გინდა, ის არ გინდა, მაშ რა ღვთის რისხვა გინდა! ახლა ისეთი დროება დაგვიდგა, რომ იქნებ მინისტრობაც გინდა მომთხოვო.

მე ვიგრძენი, რომ მან დაიპირა რიღაცის თქმა, მაგრამ მყისვე გადაიფიქრა და ჩვეულებრივი დუმილი ბოლომდე გაიყოლია.

თითქო განგებო, დრო განსაცვიფრებელის სისწრაფით მიჰქროდა. მეზობლის ოთახიდან დანჯღრეული ხმა კედლის საათისა წამდაუწუმ მამცნევდა ახალი წლის მოახლოებას და ჩემს უნუგეშო მდგომარეობას თვალწინ მიყენებდა.

„ისე ვენდობი პრისტავსა, როგორც საკუთარ თვის თავსა“ უნებლიეთ გამახსენდა მე მგოსნის დიდებული სიტყვები.

უკვდაო სოლომონ! ახლა, მხოლოდ აი ამ უჩვეულო და მუხანათურ გაფიცვის შემდეგ გავიგე მე შენი თქმულების სიღრმე, მისი აზრების სიუფსკრულე. დიახ, მართლაც ისე უნდა ენდო თავის თავს, როგორც პრისტავს, ვინაიდან გაჭივრების დროს, თურმე ისიც გიღალატებს და გაგწირავს.

დიდ არს, სულმნათო, სახელი შენი, მაგრამ მრავალ არიან, გვამნი რომელთაც ჯეჯ ვერ შეუგნიათ თქმათა ჭეშმარიტება და რომელნიც უზომო ნდობით აღჭურავენ თავთა თვისთა.

მე კი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, და უძვირფასესო სოლომონ, ეს დღე განსაკუთრებით აღვნიშნე**) ჩემს დღიურში, როგორც პირველი დღე, დღე უჩვეულო.

— დღეს გამეფიცა მე საკუთარი თავი. მას არავითარი მოთხოვნილება ჩემთვის, როგორც მისი ხაზეინისათვის არ წარმოუდგენია. ცხადია, გაფიცვა პოლიტიკური ხასიათისა იყო.

ეშმაკი.

ახალი წელი.

ახალი წელი, რომელსაც ველი
ახალი სტილით, ქეიფით, ლხინით
ეშმაკსა ჩვენსა რომ მიულოცო
დეკემბრის ოცო!
(იმა ძველ სტილსა) ნუ ეწყინება,
რაკი „გუნებამ“ ასე ინება.
ორი მაქვს შობა, ორი „კალანდა“
(პური კი ერთიც ვიღამ დალანდა?)
უნდა დავჯერდეთ თეთრი მჭადითა.
(ისიც გაძვირდა ჭამის მადითა)
ბა „ბასილეს“ რომ ღორი უნდა,
წელიწადს ვინმეს დაუდგე თუნდა
და განუწყვეტლივ რომ ემსახურო,
ღორისა ფასი ვერცკი დახურო.
მაშ რათ ვილოცო ან რა ვიხარო,
მკითხონ ამ ქვეყნად რადათ ზიხარო,
რა უპასუხო ეშმაკს ან ღმერთსა
(თუმც მოვირიგებ მათგანში ერთსა)
და მოვახსენებ: „იქნება **ზავი**“
ისემც მიცოცხლოს **ვილსონის** თავი,
ან იქნებ „გვიცნოს“ **ლოიდმა ჯორჯმა**
(სად მიგვიყვანა დრომა და ბორჯმა),
ან ნათლიობას გვიზამს **კლემანსო**
ფრანგული კბილი უფრთხის ტყემალსო.
იმედი, რამ ვსთქვა სანოვაგეზე?
კბილის დაჭერა მიჯობს ბაგეზე,
სხვაი ან თავი რით ვანუგეშო,
სიცივე გვაზრობს, ვყრიეართ უშეშო.
სირცხვილის ოფლი რით მოვიხოცო,
ხაზაინ ეშმაკს რა მიულოცო?
სახლში მისხია მე მანდარინა
(და თუ მივაგენ ეშმაკის ბინა)
მოვწყვეტ მიუძღვნი ბარე ორ კაკალს
და მიულოცავ წელიწადს ახალს.

ბუტუნა.

**) და არა ხაზის გასმით.

ახალი უებარი წამალი ყოველგვარ სენისათვის

„ეშმაკის მათრახი“.

ყველა ექიმები ერთხმად აღიარებენ, რომ „ეშმაკის მათრიხმა“ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა სამკურნალო მეცნიერებაში.

„ეშმაკის მათრახი“ ქიმურ ლაბორატორიების გამოკვლევის თანახმად წარმოადგენს შესქელებულ სიცილს, რომლის წვეთები ჰკურნავს ყოველგვარ სნეულებას.

„ეშმაკის მათრახი“ ხელს უწყობს სისხლის მოძრაობას და სპობს სისხლ-ნაკლებობას.

„ეშმაკის მათრახი“ ჰკურნავს ჭლექს, რადგან სიცილისაგან სდება ფილტვის მუწუკები.

„ეშმაკის მათრახი“ სპობს კუჭის კატარს.

„ეშმაკის მათრახი“ ჰკლავს მელანქოლიის ბაქტერიებს!

„ეშმაკის მათრახი“ წარმოადგენს აგრეთვე უუნოყიერეს ნივთიერებას: დღევანდელ შიმშილობის დროს „ეშმაკის მათრახი“ — მისწრებაა: ვინც სანოვაგის ნაკლებობას განიცდის, ვურჩევთ შეიძინოს „ეშმაკის მათრახი“ და წაუკითხოს მშიერ ცოლ-შვილს:—სიცილი დაავიწყებს მათ შიმშილს!

ექიმებმა საბოლოოდ შეიმუშავეს შემდეგი რეცეპტი „ეშმაკის მათრახიან“ წამლისა.

Rp. „ერთობა“—0,0.
„საქართველო“—0,00.
„სახალხო“—0,000.
„ეშმაკის მათრახი—100.0.

M. D. S. თითო ცალი, კვირაში ერთხელ.

ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ რომ აფთიაქებმა დაიტაცეს „ეშმაკის მათრახი“ და, ჩვეულებისამებრ ერთი ათასად ჰყიდიან ამ ეუბარ წამალს.

აჩქარდით და შეიძინეთ პირდაპირ ჩვენგან.

ჩვენთან ღირს—ცალი **6 მანეთად.**

ახვლედიანის და სხვა აფთიაქებში—ცალი 6000 მანეთად.

ახალი წელიწადი.

(გურული სცენა)

ვაი რავა დეიღუპა ქვეყანა და წახდა დროი.,. უწინდელ დროში, რომ ჩამოვქნილი ჩიჩილაკს, გაუკეთებდი ჭინჭილაქს, გამუაცხობდით ღვეძელს, ხაჭაპურს, ავაქყვირებდი ღორს, შევწვავდი გოქს, ამუაქფქაფებდი ღომს, მევიოავებდი საქმეს და დევიწყებდი წმინდა ბასილის გალოცვას, გავამსებდი გობს, გევიდოდი გარედ და დევიძახებდი: „კარი გააღე“

— რა მოგაქ?

— რა მომაქ და თეთრი, საქონელი, წმინდა ბასილის წყალობა: ოქრო ვერცხლი, ყაპი, აბრეშუმი, სიმინდი და ღომი ლობიე, და ცერცვი, მსხალი და ვაშლი, ნიგოზი და თხილი, სამსე მომაქ ყორიფელი, ნალიეი და ბეღელი, ჯამჯამე და სარეკელი, ჯანჯუხა და ტკბილის კვერი, ჩიხრიხი და საჩეჩელი წიფლის შეშა საყადელი, ჩერიე და კვირის თავი, ბაბბა, მატყლი შესასტავი, სიხარული და კაი ამ'ავი, სამსე ჭური და სამსე წისკვილი, ჩვენ დღენძელობა და მტერს სიკვდილი. გამიღე'დენ კარებს შევიდოდი სახლში, შამევიარდი წაღმა მუაპნევდი ჩხოის კაკალს და ვიტყოდი: ღმერთო და წმინდა ბასილის მადლო ასთე ააფსე ჩემი ოჯახი მეთქი, გამევიდოდი გარედ და ვბრიგებდი კიდეც ჩემს მაჭახელას, მარა წროულს, რომ ვინმემ დამიძახოს, რა მოგაქო, უნდა უთხრა: სიმშილი და სიცივე, უბედურება და წახდენის დღეი, არაა ჭადი ჩხუბში წადი, არაა ღომი ყოოლთვეს ომი, არ გაქ ფული გიკვდება გული, არ გაქ საჭელი, არც ტანსაცმელი, არცა ღორი არცა გოქი, არცა ქათამი არცა მამალი, ავათ გყავს ვინმე არ გაქ წამალი, ტიფი ოხრად, ფილტვების ანთება, ერთს თუ გადურჩი მეორე გემართება, აქით ყვავილი, იქით სახადი მოთხოვნილობა გადასახადი, არ გაქ ურემი, გუთანი კავი, საქონელს ჭირი, ძაღლებს წელკავი თუ ღმერთმა ქნა და ახალმა წელიწადმა რამე კაი და ახალი მოგვიტანა თვარა, ძველი წელიწადი წევიდეს და დენიკინის ოჯახში შევიდეს.

რ. ჯიბილ.

მამა-შვილი.

მემკვიდრეობის კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში. ამ კანონის ძალით ყოველსავე მემკვიდრეს დაბადებიდან თან დაჰყოლია ხოლმე საუკუნოებით დაგროვილი განსაზღვრული თვისებანი მშობლებისა და წინაპრებისა.

მაგრამ ამავე მემკვიდრეობის კანონს კრიჭაში უდგას მეორე ძლიერი ფაქტორი, რომელიც ხშირად ებრძვის პირველს, ანელებს მის გავლენას, ხან ავად და ხან კარგად სცვლის ხასიათის იმ თვისებებს, მემკვიდრეობის ბრმა კანონს რომ დაუნერგავს.

ეს მეორე ფაქტორი არის თვით ცხოვრების პირობათა გავლენა, საზოგადოება, ოჯახი და სხვა.

მაგალითად, მშობლების პირადი გავლენა, მათი გამოცდილება, მათი სულიერი ავტორიტეტი დიდ როლს ასრულებს აღზრდის საქმეში და ამ გავლენას მოკლებული კაცი ხშირად ასცდება ხოლმე ჭეშმარიტ გზას და ისე დაიბნევა ცხოვრების ბილიკზე, რომ ხან და ხან საბედისწეროთ გადაიჩეხება წყვდიადით მოცულ უფსკრულში...

ჩემთვის სრულიად უდავო და აშკარაა შემდეგი დებულება:

კაცობრიობას რომ მარად ჟამ უბედურება ატყდება თავზე და არასოდეს ხანგრძლივად არ გაულიმებს ბედი, იმის გამო ხდება, რომ ყოველი ახალშობილი წელიწადი მოკლებულია მშობლის გავლენას, ერთხელ დალაპარაკებასაც ვერ ასწრებს მამასთან და ფ ხს რომ შემოადგამს ცხოვრებაში, მიმავალი ძველი წელის მოხრილ ზურგს მოჰკრავს ხოლმე თვალს და გამოუცდელი, ხამი, ჭკუა-დაუმჯდარი იწყებს ქვეყნის მძიმე ტვართის ზიდვას.

1919 წელმა ჩაალაგა თავის სამგზავრო გუდაში საგზალი—ვ გირვანქა ცივი ჭადი და მოხარშული ლობიო—და წასასვლელად მოემზადა.

რაღაც მეოთხედი საათი-ღა რჩებოდა სულ მისი წასვლის ჟამამდე.

მგზავრობის არ ეშინოდა მას, არც სანანურად რჩებოდა რამე ამ ქვეყნად, და როგორც განგების მორჩილსა და დისციპლინის გრძნობით გამჭვალულ ადამიანს შეჰფერის, უღრტვინველად და თითქმის გულგრილადაც მისჩერებოდა ქალაქის გამგეობის კოშკის საათს, რომლის დიდი ისარი ზლაზვნით

მიიწევდა 12-თან მიახლოვებულ პატარა ისრისკენ.

ასე იდგა უძრავად რამდენსამე წუთს და არავითარი გრძნობა არ აღელვებდა მის გამოფიტულსა და დაქანცულ გულს.

უცებ მოხუც წელს შეაჟრჟოლა, რაღაც უჩვეულმა ნაკადმა დაუარა ძარღვებში და მთელი სხეული შეუტორტმანა.

— რას ნიშნ ვს ესა? გაიფიქრა მან და გულში ისეთმა ტკბილმა და თან ნაღვლიანმა გრძნობამ გაუთამაშა, რომ უნებურად დაიძრა და რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა გამგეობის შენობისაკენ.

საკვირველი იყო, რომ ის ტკბილი და სევდანარევი გრძნობა თან და თან იზრდებოდა და ავსებდა ცალიერ გულს, თითქოს რაღაც ძალა ტალღებს უგზავნიდა მას შორიდან, ნაზად ჰბოქავდა და თავისკენ იზიდავდა.

საათს როდი-ღა ეყურებდა ახლა მოხუცი, კოშკის წვერს მისჩერებოდა დაჟინებით და გაფაციცებით, თითქოს გრძნობდა რომ იქ, იმ წვერვალზე უნდა გამოჩენილიყო საოცარი ძალის მფლობელი ვინმე, ასეთი ნაზისა და უჩვეული ძაფით რომ ეზიდებოდა თავისკენ აღელვებულ გულს.

— შვილი... ჩემი შვილი! — წაილუღლუღა 1919 წელმა, რადგან მიხვდა, რომ ეს ძალუმი გრძნობა, მთელი მისი გაგულგრილებული არსება რომ შეეპყრო ასე ერთბაშად, მხოლოდ მშობლიური სიყვარულის გრძნობა უნდა ყოფილიყო.

— გა-ნე-მზა-დე! — მოესმა მოხუცს ფოლადიანი ბრძანება, რომელმაც ისე დაჰფარა ყოველივე, რორგოც ზეცა ჰფარავს დედამიწას.

მოხუცმა ტანჯვით მოსწყვიტა თვალი კოშკის თავს და ზევით აიხედა: ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე გართხმულიყო შავ-წამოსასხამიანი ვინმე, რკინასავით მტკიცე და წერასავით ულმობელი.

მოხუცმა კარგად იცოდა, რომ **იმის** სურვილსდა ბრძანებას ვერსად წაუვიდოდა, გრძნობდა, რომ ყურ-მოჭრილი მონა იყო **იმისი**, მაგრამ ისე გარდუვალი იყო მის გულში გაღვივებული მშობლიური სიყვარული, იმდენად წარმატაცი იყო ოცნება და იმედი შვილის ნახვისა, მისი ხმის გაგონებისა და ხელის შეხებისა, რომ ვეღარ მოითმინა და შეეკითხა:

— მხოლოდ ერთი წუთი, ერთი წუთი მაჩუქე მხოლოდ, თვალი მოვჭრა... დავინახო და შემდეგ მიბრძანე წასვლა!

ის კი სდუმდა პასუხად და ეს დუმილი ისეთი მკაცრი და საშინელი იყო, რომ ვერავითარი რისხვის ხმა ვერ შეედრებოდა.

მაშინ მოხუცმა ოინს მიმართა:

— მე კიდევ ცამეტი დღე მაქვს ვადა... ყველა ახალი სტილით როდი ითვლის დროს... უმეტესობა ისევ ძველ სტილს ანგარიშობს... ცამეტი დღის შემდეგ წავალ მხოლოდ... მანამდე ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან.

თითონვე გაუკვირდა თავისი თავხედობა და კადნიერება.

— ვნახოთ! — წარმოსთქვა **იმან** და შეიკრა შავი წამოსასხამი და ჰაერში ისეთი ხმაურობა გაისმა, რომ ურიცხვ ფასკუნჯთა ვეებერთელა ფრთების ერთბაშსა და ძლიერ მოქნევასა ჰგავდა.

დიდი ისარი დაეწია პატარას და საათმა 12 დაჰკრა.

— ჩემო შვილო! — აღმოხდა მოხუც წელს და კოშკის თავზე გამოჩნდა მშვენიერი ყრმა, ნაზ ვარდისფრად გაშუქებული და ხელებ-გაშლილი დაეშვა მოხუცისაკენ...

ძველმა წელმა გულში ჩაიკრა თავისი პირმშო ახალი წელი და რამდენსამე წუთს მამა-შვილი უძრავ ქანდაკებასა ჰგავდნენ.

— დროს ნუ ვკარგავთ! — დაიწყო თავდავიწყებისავან გამორკვეულმა მამამ, ტრამვაის სადგურის სკამზე ჩამოჯდა და შვილი მუხლებზე დაისვა.

— ყური დამიგდე... ასეთი ბედნიერება არასოდეს განუცადია არც ერთ განვლილ წელს... პირველი მე ვარ, რომ შვილს ვხედავ და ველაპარაკები. დიდ ხანს არ გასტანს ჩვენი სიამე. სადაცაა, კვლავ გაისმება მრისხანე ხმა... მაშ სიჩქარეა საჭირო. შენ გამოუცდელი ყრმა ხარ, მე კი ბევრი რამ ვიცი და მინდა დარიგება მოგცე... მაშ ყური მიგდე და კარგად დაიხსომე, რასაც გეტყვი. ეს ჩემი ანდერძი იქნება.

— სთქვი, მამა ჩემო! — წაიტიტინა ახალმა წელმა: სიტყვას გაძლევ, შენი ანდერძი მტკიცედ შევასრულო.

ბავშვმა მოხერხებულად მოიკალათა მამის მუხლებზე და ყურადღებით მიაჩერდა მას.

მოხუცმა ნაზის ალერსით გადაუსვა შვილს ხელი თმა-ხუჭუჭა თავზე და დაიწყო:

— 365 დღეა, რაც მე აქა ვარ. შანსავით ბედნიერი რომ ვეოფილიყავ და მამა-ჩემი, 1918 წელი, რომ დამხვედროდა, როგორც მე დაგიხვდი შენ, ასე ცუდათ არ გავატარებდი ამ 365 დღეს. ყველაფერი კი ჩემი გამოუცდელობისა და ახალგაზრდული მეტიჩარობის ბრალია... მოვედი თუ

არა და თვალი მოვავლე ირგვლივობას, ისე გამიტაცა ცხოვრების საერთო კორიანტელმა, რომ თავი ველარ შევიკავე და გავყევი მას, როგორც ნაფოტი გაჰყვება მღელვარე ზღვის ტალღას. მე სრულიდ დამავიწყდა, რომ ჩემი ერთად ერთი მოვალეობა დროს თვალყურის დევნება იყო და სხვა. არაფერი... ჩემს პირდაპის საქმეზე ხელი ავიღე და მეც იმ თავშეუკავებელმა პატივის მოყვარეობის ჟინმა ამიტანა, რომელიც ყველას მოსდებოდა ამ ქვეყანაში. უპირველეს ყოვლისა ძალაუფლების მოპოებამ ამიშალა საღერღელი და სოც. დემოკრატულ პარტიაში ჩავეწერე. თუმცა ბალღი ვიყავ, არც ცოდნა მქონდა, არც გამოცდილება, მაგრამ ამას არ შევეპუე და მინისტრის პორტფელისაკენ გავიწიე. ბედმა გამიღიმა, საწადელს მივაღწიე და სულ ცოტა ხანში მე, უვიცი და მეტიჩარა ბალღი, მინისტრის ამხანაგად გავხდი. მთელი ჩემი მოღვაწეობა ამ თანამდებობაში, რა თქმა უნდა, შეცდომებისა, თვითნებობისა და მამლაყინწობის გარეშე წყვეტელი ჯაჭვი იყო. ეს გარემოება მე სრულიადაც არ მაწუხებდა რადგან ჩემი უმძაფრესი სურვილი, ძალაუფლების მოპოება, მბრძანებლობა,— შევისრულე. მხოლოდ მაშინ შევიგენი ჩემი ყოვლად სასაცილო მდგომარეობა, როდესაც ჩემი უწყება დაღუპვის კარამდე მივიყვანე. აქ გაიღვიძა ჩემში სინდისმა და მინისტრის ამხანაგობაზე ხელი ავიღე. ეს იყო ჩემი პირველი და სასტიკი დამარცხება ცხოვრებაში.,. მომეცი სიტყვა, შვილო, რომ შენ ჩემს მაგალითს არ მიჰბაძავ, პატივ-მოყვარეობის ფუქსავატურ ჟინს გულშივე ჩაიკლავ და მინისტრის პორტფელისაკენ არასოდეს დაიწყებ ცქერას.

— გაძლევ სიტყვას!—უთხრა პატარამ.

— შემდეგ,—განაგრძო მოხუცმა:—ჩემდა საუბედუროთ მწარე გამოცდილებამ ჭკუა ვერ მასწავლა და ახლა მეცნიერის სახელის მოხვეჭის სურვილმა შეიპყრო ჩემი არსება. თავი გამოვაცხადე ლეიპციგის, პარიზის, ოქსფორდის და ნიუიორკის უნივერსიტეტების დოქტორად და ინდაურივით გაფუყული მივედი სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქაურ პროფეფსორთა კოლეგიამ აღტაცებით მიმიღო და დაუყონებლივ მემომთავაზა სამი კათედრა ერთბაშათ. შენ თითონ წარმოიდგინე, როგორი პროფესორი უნდა ვყოფილიყავი მე, რომელმაც არცერთ იმ მეცნიერებათა ანა-ბანაც არ ვიცოდი და ლექციებს კი ვკითხულობდი დიდის რიხითა და ფახი-ფუხით. და აი, როდესაც ჩემი აუდიტორიები უდაბნოს დაემსგავსა, ხოლო ერევნის მოედანი, გოლოვინის პროსპექტი, სამიკიტნოები და ყავახანები კარგი პროფესორის აუდიტორიასავით გაივსნენ სპეკულიაციით გატაცებულ სტუდენტებით, მივხდი, რა ბოროტმოქმედებასაც ჩავდიოდი და პროპესორობაზედაც ავიღე ხელი. ახლა შენ მეორე სიტყვა უნდა მომცე, შვილო: არასოდეს არ ინდომო პროფესორობა, თუ არ გინდა თავის შერცხვენა და ახალგაზრდა თაობის დაღუპვა.

— გაძლევ სიტყვას, მამა!—უთხრა პატარამ.

— მეცნიერების ტაძრიდან ხელოვნების ტაძარში გადავინაცვლე. ისე მძაფრათ ამიტანა დაფნის გვირგვინით თავის შემკობის წყურვილმა, რომ სინდისზე ხელი ავიღე და მოვხსენი თავი ყველა აქაურ ხელოვანთა უშვერ ლანძღვა-გინების გუდას. ყოველ გზა-ჯვარედინზე იმას ვამტკიცებდი, რომ ყველა სხვა ხელოვანი უნამუსო შანტაჟისტი და მატყუარა იყო და მხოლოდ მე ვიყავი ნამდვილი ქურუმი ხელოვნებისა ჩემმა ოინმა გასჭრა და სულ მალე მართლაც დაფნით შემიმკეს შუბლი. მაგრამ ამ დაფნის გვირგვინმა ეკლის გვირგვინსავით დამიწყო ჩხვლეტა და იძულებული გავხდი მომეხადა... მომეცი სიტყვა, შვილო, რომ ხელოვნების ქურუმობასაც არ წაეპოტინები!

— სიტყვას გაძლევ, მამავ!—უთხრა პატარამ.

— ვინ იცის, კიდევ რამდენი პროფესია და ხელობა გამოვიცვალე ჩემს სიცოხლეში და ერთხელაც არ ჩავფიქრებივარ იმას, თუ რამდენათ შემწევდა ნიჭი და ცოდნა ამა თუ იმ საქმისთვის. პირიქით. სწორედ იმას ვკიდებდი ხელს, რისიც არა გამეგებოდა-რა. ჩემმა დაუდგრომელმა, ხარბმა და მოუსვენარმა ბუნებამ ურიცხვი ბოროტება და უსინიდისობა ჩამადენინა; დრო რომ მქონდეს, შვილო, და არ ვგრძნობდე, რომ სადაც არის გაისმება ზეცაში ულმობელი ხმა, რომელიც მე და შენ გაგვაშორებს, დაწვრილებით გიამბობდი ყველა იმ შეთხვევას, მე რომ თვალი ამიხილეს და ბოლოს და ბოლოს ჩემი ფუქსავატი ცხოვრების ამაოება დამანახვეს. ახლა კი, დროს უქონლობის გამო, იძულებული ვარ, მოკლედ მოგიჭრა: ყველაფრის მიზეზი ჩემი **მეტიჩრობა** იყო. **მეტიჩრობა**, აი ის საშინელი სენი, რომელმაც ამირია ცხოვრების გზა და მწარე სინანულის კარამდე მიმიყვანა. დაიხსომე ეს და სიტყვა მომეცი, **რომ** არასოდეს შეეჩხირები იქ, სადაც შენი საქმე არ იქნება. დასდე ჩემს წინაშე ფიცი, **რომ** **მხოლოდ** შენი

მოვალეობის ასრულებას შეუდგები და, რაც შენს მოწოდებას არ შეადგენს, იმას არ წაეპოტინები.

— ვფიცავ, მამილო! — უთხრა პატარამ.

სწოლად ამ დროს ჰაერში ხელახლა მოისმა უცნაური ხმაურობა მრავალ ფასკუნჯთა ფრთების მოქნევისა, ცაზე კვლავ განერთხო ის შავმოსასახამიანი და წარმოსთქვა თავისი ულმობელის ხმით:

— შენი თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული! წადი!

— მშვიდობით! — დაიკვნესა ძველმა წელმა და მხურვალედ ჩაიკრა გულში თავისი შვილი.

საათის ისრები ისევ თორმეტზე გაყინულიყვენ უძრავად, და მხოლოდ მაშინ დასტოვეს ეს ციფირი, როდესაც ძველი წელიწადი მოშორდა თავის შვილს, აიღო თვისი გუდა-ნაბადი და გაემგზავრა.

— სიტყვას არ ულალატო, შვილო! — მოაძახა უკანასკნელად მაჭამ ახალწელს: მეტიჩარობას ერიდე!

როდესაც მიმავალი ძველი წელიწადის ზურგი მიიმალა სიბნელეში, ახალმა წელმა თვალი მოავლო ერევნის მოედანს, დაჰკრა ფეხი, აფრინდა ჰაერში და შიგ კოშკის საათში შეიმალა, იქ, სადაც მექანიზმია.

— აი ჩემი მოვალეობა! წარმოსთქვა მან და გულმოდგინეთ დაათვალიერა და დაასუფთავა ქრონომეტრის ყველა ბორბალი და მარჭვალი.

—

დარწმუნებული ვარ, მამის ანდერძი ფუჭათ არ ჩაიელის შვილისათვის და ახლად დამდგარ 1920 წელს გასული წლების მეტიჩრობის სახსენებელიც მოისპობა.

თაგუნა.



ძველი და ახალი.

ძველი! აი, ჩემო პატარავ, კარგათ მიაქციე ყურადღება აქ ამ ორ ზღვათა შუა ვიღაც ბიჭი ჩამჯდარა. მე ვერ ვიცანი. იქნებ შენ იცნო.

ახალი. ნუ გეშინია, მამილო: მე **ვიცნობ, უთუოდ ვიცნობ!**

სახელმწიფო სტამბა.